



କର୍ତ୍ତାପତ୍ରଙ୍କ କେନ୍ଦ୍ରିୟନ୍ୟାଳୀ ପ୍ରକଳ୍ପାଳିକା

3  
/ 2022



# III

## ლ Ա Լ Մ Ե Յ Ո Ւ Խ Հ Ա Ր Ա Ն Ե Ք Ո

ბეი უმიშნოდ დაქეტებოდა სოფელში. რომ სცოდნოდა, როგორ შეეჩერებინა მოსალოდნელი უბედურება, გონებაში ისევ და ისევ ტივტოვებდა ის სიტყვები: “როცა გარდაიცვლება მთვარე.” გასულ ღამეს ახალმთვარეობა იყო. ეს ნიშნავს, რომ მთვარე დარჩება “ცოცხალი” 14-15 ღამე. “გარდაცვალებამდე” რაიმე გამოსავალი უნდა მოძებნოს.

ფიქრებით დამძიმებული ბეი ვერ ამჩნევდა, სად მიაბიჯებდა. უცებ, მის კურს უცნაური ხმები მისწვდა. ის სოფლის ბოლოს აღმოჩნდა, ერთ ხის სახლთან, სადაც უცხოელი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ბეის ჯერ კიდევ ეშინოდა მათი, რადგან ისინი გრძელი ცხვირებითა და წაბლისფერი თმებით სხვეს არ ჰგავდნენ, უცნაურად ლაპარაკობდნენ. როცა უფროსი ბიძა ამ უცხოელებთან საუბრობდა ტერასაზე, ბეი ზოგჯერ ჩუმად უსმენდა მათ. ბიძამისის ოჯახი ერთადერთი იყო სოფელში, რომელიც ემსახურებოდა “ახალ” ღმერთს, რომლის შესახებაც ესაუბრებოდა უცხოელი. ბიძამ რამდენჯერმე უთხრა ბეის მშობლებს: — ერთხელ მაინც მოდით ჩვენთან, რომ ამ სიახლეზე აგიხსნათ, მაგრამ დედა ყოველთვის პასუხობდა: — არა, ეს ჩვენთვის არ არის. ჩვენ თუ შევწყვეტთ სულებისთვის მსხვერპლის შეწირვას, ისინი განრისხდებიან და დაგვსჯიან. უკეთესია, იმ რწმენაზე დავრჩეთ, რომელიც ჩვენმა მშობლებმა და წინაპრებმა გვასწავლეს.

ბეის ახსოვდა ბიძამისის პასუხი: — ნახეთ! მეტად აღარ მიგვაქვს მსხვერპლი და ვიცით, რომ ჩვენი ღმერთი, რომელსაც იესო ქრისტეს ვეძახით, დემონებზე ძლიერია. რაკი ჩვენ თავანს ვცემთ უძლიერეს ღმერთს, სულებს აღარ შეუძლიათ რაიმე ზიანის მიყენება.





ბეის აქამდე არ შეეძლო ამ სიტყვების გაგება, რაც ახლა მოისმინა, უცხოელები გალობას უწოდებდნენ; ახლოს მიჩოჩდა. ეს სულ სხვა ბგერები იყო, რითიც ალბათ სულებს ასიამოვნებდნენ ან ავადმყოფობებს განდევნიდნენ. მას სიტყვების გაგებაც კი შეეძლო, ის თავის მშობლიურ ენაზე იყო!

ბეი იმდენად მიუახლოვდა გაღებულ კარს, რომ შიგნით შეხედვაც შეეძლო. მან თვალი მოჰკრა პატარა, შავ ყუთს, საიდანაც სიმღერის ხმა ისმოდა. კვლავ და კვლავ იმეორებდა იესოს სახელს და ისე სასიხარულოდ უღერდა... ბოლოს ის მიხვდა სიმღერის აზრს: “იესომ გაიმარჯვა სატანაზე.”

ბეის გაახსენდა თავისი მოვალეობა, თვალყური ედევნებინა პატარა დაიკოსთვის. ალბათ, დიდი ხანია გაიღვიძა და ყვირილი ატეხა. მან ერთხელ კიდევ მიაპყრო თვალი შავ ყუთს. ამ დროს უკანა ოთახიდან ქალი გამოიდა და და სასიამოვნოდ შეზედა ბეის.

— აბა, საით გაგიწევია ბეი? — პასუხის მაგიერ ბეი შეძრუნდა და გაიქცა.

ბეის ჯერ კიდევ მშვიდად ეძინა ტერასაზე. ლონგი სახლში იყო, უკვე მოშიებული.

— შეიძლება შენი წილი ბრინჯი ვჭამო? — იკითხა მან.

— შეხედე მზეს, ის ჯერ არ დგას სახლის თავზე, ესე

იგი საღილის დრო ჯერ არ დამდგარა — უპასუხა ბეიმ.

— რა ნელა გადის დრო — ჩაიბურტყუნა ლონგმა.

მოულოდნელად სიმღერის სიტყვები გაახსენდა ბეის: “იესომ

გაიმარჯვა სატანაზე,” ეს თუ სიმართლეა, მშინ იესო ნამ-

დვილად ძლიერი ღმერთია. შეიძლება იესო სულების

უფროსია? ო, ნეტავ იცოდეს, ვის სთხოვოს ამაზე!

ნახაფი თაყო მაისურაძე



# ჭირ ბატონის მარაზმა

მე ძალიან მიყვარს ახალი ნაცნობები. თუმცა ჩემი შეუხედავობის გამო, ეს ძალიან იშვიათად ხდება. ვიმე-დოვნებ, რომ შენ, ჩემო პატარა მკითხველო, ჩემი არ შევშინდება. გარწმუნებ, ძალიან მეგობრული ვარ. სწავლულები მე უფრო მეტად შემკრებს მიწოდებენ, ვიდრე მონადირეს. მე და ჩემი თანატომელები ძირი-თაღად მცენარებით ვიკვებებით, თუმცა ვჰამთ ასევე ლოკოკინებს, ჭიებს, მწერებსა და მათ მატლებს, ხოლო როცა არავერია, მძორისაც, რითაც წალსატვების სანიტარების როლს ვასრულებთ.

უცნაურებად გვთვლიან მაგარი ჯავშნის, წყვილი მძლავრი კბილებიანი მარწუხების, კიდურების სიძრავლის და წყვილი თვალების გამო, რომლებიც მოძრავ დეროგზება განლაგებული. გმოძრაობ ნელა, მშვიდად, თითქმის შეუმჩნევლად, მხოლოდ ანტენებით გშევრილი საცეცები უხება ვევლაფერს, რაც გზაზე გვხვდება. მათი დახმარებით მე განვსაზღვრავ წყლის შემადგენლობასა და ტემპერატურას, საკვების არსებობას, მტრის მოახლოებას. სიარულისას შემიძლია ვიმორაო წინ ანდა ვიღოლო უკან, ხოლო ცურვისას ტანის უკანა ბოლოთი წინ მიუცურავ. საკვების ძიებისას მე სამალავიდან გამოვდიგარ გვიან საღამოს და ვპრუნდები უკან მზის ამოსვლის წინ.

მარწუხები — ანუ წინა კიდურები მრისხანე იარალია, რომელთა გარწუხეც ძალიან გამიჭირდებოდა საკუთარი თავის გამოკვებაც და თავის დაცვაც. არცოუ იშვიათად, რომელიმე ჩვენგანი შევიძლიათ ნახოთ მხოლოდ ერთი მარწუხით ანდა უაუდოდ. მარწუხეს ვგარგავთ თავდაცვის დროს, თუმცა დროის გასვლის შემდეგ ის ისევ იზრდება. აი კუდის გარწუხე კი ვერ ვიცოცხლებთ. ის ძირითადი საშუალებაა წყალში

ნახატი 6. ჟ.

ი. ა.

გადასაადგილებლად, და მის გარეშე ჩვენ ვერ ამოვ-ცურდებით წყლის ზედაპირზე ჟანგბადის მისაღებად, რომელიც ასე საჭიროა ყველასაოვის.

ტანის ზრდასთან ერთად ჯავშანიც ვიწროვდება და გვიწევს მისი გამოცვლა. ამ დროს ახლდება ასევე ლაყუჩების ზემო ზედაპირი და თვალების ბადურები, საჭმლისმომნელებელი ორგანოების ნაწილები და პირის დანამატების ზემოთ დამცავი ფენა. ძველი ჯავშნიდან შიშველები და რბილები გამოვჭრებით ხოლმე, სრულიად უმწეოები და დაუცველი. ასეთ როულ პროცედურას მე სიცოცხლის პირველ წელს რგავერ გავდივარ, მეორე წელს - ხუთჯერ, შემდგა კი წელი-წადში ერთხელ ან ორჯერ. ამ დროს ჩვენ იოლი ნადავლი ვართ მტაცებლებისთვის, ამიტომაც სიცოცხლის პირველი წლის ბოლოს ასეულობით ჩვენგანისგან მხოლოდ ათეულნი რჩებიან ცოცხალები.

საფარველის შეფერილობა იცვლება მუქი მწვანიდან მუქ ლურჯამდე (დამოკიდებულია საცხოვრებელ გარემოზე). თუმცა, როცა გვხარშავენ ის ნივთიერებები, რომლებიც ფერს აძლევს ჯავშანს, ნაღგურდება, ამიტომაც მოხარშულები ვევლანი ერთნაირები ვართ: მოვარდისფრო მოწითალო ფერის. ჩვენ მოგვიპოვებენ ნაზი, განსაკუთრებული გემოს, ხორცის გამო. ჩვენ ტრადიციულ რუსულ დელიკატესად მიგაჩნევნ, ხოლო ფინეთისა და შვეციაში ჩვენს საპატივსაცემოდ დღესასწაულებს მართევთ. დარწმუნებული ვარ, უკვე მიხვდი, რომ მე ფართოთათიანი მდინარის

(*Astacus astacus*) ვარ.



# ლექსერი

\* \* \*

ნეტავ იმ დედას, რჩეულ ქალბატონს  
ძუძუ გაწოვა და გამოგზარდა  
ნეტავ იმ მამას, ვინც ხალხისათვის  
ბნელ ქვეყანაზე გამოგაგზავნა.  
ბეღნიერია, ვისაც აირჩევ  
დაუკავუნებ და გაგიღებს კარს,  
მიგიღებს, როგორც ერთგულ მეგობარს  
მოგენდობა და გამოპყვება კვალს.  
ნამდვილ მეგობრის პოვნა ძნელია  
ერთგულებაში გამონაცადის  
ცხოვრების გზებზე,  
გაბნეულ გზებზე  
როგორ მომძებნე, შვილად მიცანი  
არცრა გიკითხავს გვარიშვილობის,  
თვალთა ფერის თუ სახის იქრის  
გულს ჩამიფინე სითბო ნანატრი  
გასაკვირველი და მშვენიერი.  
შენ ჩემი გულის მეგობარი ხარ  
ნამდვილ მეგობრის პოვნა ძნელია  
როცა ჩემს გვერდით სანდო მცველი მყავს,  
თვით სიკვდილისაც არ მეშინია.  
ნეტავ იმ დედას, ვინაც შენ გშობა,  
ძუძუ გაწოვა და გამოგზარდა.  
ანდა იმ მამას, ბნელ ქვეყანაზე  
ხალხის მეგობრად გამოგაგზავნა.

მარიამი

## ლელვის ხე

სისხამ დილით, განთიადზე  
არ ამოსულს ჯერაც მზისა  
შორი გზიდან დაღალული  
ის დაბრუნდა ქალაქს დიდსა.  
მიდის ქრისტე ლელვის ხესთან  
ვერ პოულობს ნაყოფს ტკბილსა  
ჩამოსწევლის მწარე ფოთლებს  
და გაუხმობს ამ ხეს ძირსა.  
ხომ შეეძლო ყოვლისშემძლეს  
წყველის ნაცვლად დაელოცა?  
მაგრამ სიბრძნემ ზეციურმა  
გამაოცა, გამაოცა!  
გვიან მივხვედი, ასე მკაცრი  
რატომ ჰქონდა სამართალი  
მან იცოდა, ხე არ იყო  
უხვი ნაყოფის მომტანი.  
და ერთხელაც, მოგა ჩემთან  
ნაყოფს მომთხოვს შესაფერსა  
რას მივართმევ ჩემს მეუფეს?  
ვერაფერსა, ვერაფერსა...  
მოგაცდინე დაბლა მიწა  
ვერა ვარგე მაღლა ღმერთსა  
ის ელოდა ჩემგან ნაშრომს  
საუცხოოს, სასურველსა!  
ვდგვარ ახლა ღვთის წინაშე  
ვერ გავთვალე დრო და უამი  
შემოდგომაც შემოსულა,  
მე კი შერცხვენილი დავრჩი  
ჩემი უნაყოფობით  
მელირსება გადარჩენა?  
სამწუხაროდ, ვით ლელვის ხეს  
მომეწევა ალბათ წყველა.

მარიამი

# იეჲოანე

## დე პარუქი


გ. ტ.

ისრაელიანები თაყვანს სცემდნენ ერთ ცოცხალ ღმერთს, რადგან მან გამოიყვანა ისინი ეგვიპტიდან, სადაც მონობაში ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სულ უფრო ცოტა ადამიანი რჩებოდა უფლის ერთგული. სულ უფრო იშვიათად ისმოდა ღვთის სიტყვა საზოგადო ადგილებში და ტაძარშიც კი. მეტიც, ადამიანებმა, რომლებიც ერთიან ღმერთს სცემდნენ თაყვანს, ძალიან ადგილად გაცვალეს ის წარმართულ კერპებზე. მათი ცოდვა იძღვნად საძაგელი იყო, რომ ღმერთმა მიმართა თავის წინასწარმეტყველს — ღვთისმოსავ ადამიანს, სახელად იერემიას, რომელმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მიიღო განსაკუთრებული დავალება — ექადაგა ღვთის სიტყვა ისრაელიანები-სათვის. მრავალი წლის მანძილზე იერემია მოუწოდებდა ხალხს გაქსენებინათ მოსიყვარულე ღმერთი, ვინც შზად იყო ეპატიებინა ურჩობა, თუ ისინი მოინანიებდნენ თავის უგვან ქცევას. თუმცა ისინი არ უსმენდნენ წინასწარმეტყველს, პირიქით იცინოდნენ მის ნათქვაშე.

ერთხელაც ღმერთმა უბრძანა იერემიას: „ჩაწერ ყველა სიტყვა, რომლებიც მე ოდესმე მითქამს შენთვის, გრავნილზე. შეიძლება, ჩემმა ხალხმა მოინანიოს, როცა მოისმენ ამ გრავნილში ჩაწერილ ყველა უბედურებას, რომლებსაც ისინი დაიტეხნ თავს, თუ არ მოიცევათ ჩემსკნ.“

მიიღო რა ღმერთის ბრძანება, იერემიამ მოუხმო თავის თანაშემწე ბარუქს. იერემია ამბობდა ღმერთის სიტყვებს, ბარუქი კი იწერდა ყოველივეს. ასე იქმნებოდა ფასეული გრავნილი, რომელიც მალე უნდა წაკითხულიყო ხალხის წინაშე.

ბოლოს, როცა ტექსტი მზად იყო, იერემიამ დაავალა ბარუქს წასულიყო ტაძარში, სადაც მარხვის გამო ბევრი ადამიანი იყო შეკრებილი. ბარუქი დადგა ტაძრის ზემო ქზოში, მოიკრიბა გამბედაობა და ხმამაღლა წაიკითხა გრავნილი. ტექსტის იმ ნაწილმა სადაც ლაპარაკი იყო ბაბილონის





მეფეზე, რომელიც გააპარტახებდა მათ შშობლიურ მიწას, განსაკუთრებით შეაშინა მსმენელები.

მათ შორის აღმოჩნდა ვიღაც მწერლის ვაჟიც. ის დაუყოვნებლივ გაემართა მეფის დიდებულებთან და ყველაფერი უამბო, რაც მოისმინა. შეშინებულმა დიდებულებმა გადახედეს ერთმანეთს და გადაწყვიტეს მაშინვე გაეფრთხილებინათ ბარუქი: „წადი და იერემიასთან ერთად დაიმალე, რომ არ შეეძიბრონ.“

ამ დროს მეფე იეპოიაკიმი ზამთრის სასახლეში იყო და თბებოდა. კარისკაცებმა უამბეს ყველაფერი. მეფემ უბრძანა მსახურს მოეტანა გრაგნილი და ხმამაღლა წაიკითხა მისთვის. და ყოველთვის, როცა მსახური ტექსტის გარკვეულ ნაწილს წაიკითხავდა ხოლმე, მეფე დანით აჭრიდა ამ ნაწილს გრაგნილს და აგდებდა ცეცხლში.

მასთან მყოფი ზოგიერთი კარისკაცი ცდილობდა მის გაჩერებას, თუმცა ამაოდ. მალე მთელი გრაგნილი ცეცხლმა შთანთქა. არც მეფემ და არც მისმა ქვეშვრდომებმა ყურად არ იღეს გრაგნილში ჩაწერილი მრისხანე უწყება. მეტიც, მეფემ მცველები გაგზანვა იერემიას და ბარუქის, შფოთის ამტებების, შესაბყრობად. მაგრამ მეფის მცველების ყველა მცდელობა ამაო აღმოჩნდა. იერემია და ბარუქი საიმედოდ იყვნენ დამაღულები — უფალმა ისინი საიდუმლო ადგილას გადამალა.

გავიდა დრო. მეფის რისხვა ჩაცხრა და ღმერთმა უთხრა იერემიას: „დავითის ტახტზე აღარც ის დარჩება და არც მისი შთამომავლები. შენ კი სხვა გრაგნილი აიღე და კვლავ დაწერე ის სიტყვები, რომელიც პირველ გრაგნილში წერა, რომელიც მეფემ დაწერა.“ ახალი გრაგნილი პირველზე დიდი გამოდგა. ვერც ცეცხლმა, პერც მტრების რისხვამ ვერ გაანადგურა ღვთის სიტყვა. იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები შემდგომ, შეგიძლიათ წაიკითხოთ წინასწარმეტყველ იერემიას წიგნში.

ნახატი ლ. გ.

ამბავს იერემიასა და ბარუქის  
შესახებ, თქვენ ამ წიგნის  
36-ე თავში იპოვით.

### როგორ ფიქრობთ?

1. როგორ გააფრთხილა ღმერთმა ხალხი სასჯელის შესახებ?
2. როგორი რეაგირება პერნდა ხალხს წინასწარმეტყველის გაფრთხილებაზე?
3. თავად თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ ღვთის სიტყვის — ბიბლიის მიმართ?



ნახატი ე. მ.



2. უფალო, ჩვენო მბრძანებელო! რაოდენ დიდია შენი სახელი მოყლს ქვეყანაზე! შენი დიდება იგალობება ცათა ზემოთ.
3. ჩვილთა და ძუძუმწოვართა ბაგები-დანაც კი შენ განამტკიცე ციხე-ბურჯი შენი მტრების წინააღმდეგ, რათა დააღუმო შენი მტერი და მეამბოხე.



4. როს ვუშერ შენს ზეცას — შენს თითოა ქმნილებას, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე

5. რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი? ან მე ადამისა, რომ ზრუნავ მასზე?



6. დიდად არ დაგიმცირებია იგი ანგელოზებზე; დიდება და ღირსება დაადგი გვირგვინად.

7. გააბატონე შენი ხელის ქმნილებებზე; ყოველივე დაუმორჩილე მას —




8. ყველა პირუტყვი — წვრილფეხა და  
მსხვილფეხა, და ასევე ნადირი ველისა,



9. ფრინველი ცისა და თევზი ზღვისა,  
წყლის ბილიკებით რომ მოძრაობენ.




10. უფალო, ჩვენო მბრძანებელო,  
რაოდენ დიდია შენი სახელი  
მთელს ქვეყანაზე!



## დამიუზებული

## ოუზენი

გაიგე, რა აღუთქევა  
ღმერთმა თვის  
მიიმედეებს.



( \* 13:5. ).



# ჰიპოტონია და სარკე

3. უ.



- საიდან იცი ასე ბევრი რამ ყვავილის შესახებ, ექიმო? - იკითხა მგოგომ და ჩაფიქრებული, ნიკაპით დაეყრდნო ხელისგულებს.

- წიგნებიდან, მგოგო. აი შეხედე ამას. მასში სწერია ეპიდემიების შესახებ, როგორ იწყება ისინი, რა ნაწილების სტორებს კანზე, როგორი ზიანი შეუძლიათ მიაყენონ ჩვენს თვალებს და ცხოვრებას საერთოდ.

- სად არის ექიმი? - გაისმა შიშისაგან აცახცახებული ტალის ხმა.

ის შემოვარდა ოთახში და კართან გაჩერდა. - ჩქარა ექიმო! კალის ყელში ძვალი გაეჩირა. იხრჩობა.

ბორცვიდან ბავშვების ჯგუფი ეშვებოდა, ყველაზე წინ ბარუტი მორბოდა, რომელსაც მოჰყავდა კალი. ექიმი სწრაფად შევიდა საოპერაციო ოთახში, მოაშადა მაშები და ქირურგიული სარკე. ბარუტი იმართან მიირბინა.



ნახატი კ. პ.

- შემოდი, ბარუტი! კალი აქ დააწვინე. წყნარად იწევი კალი, რომ შევძლო შენი ყელის დათვალიერება. ფართოდ გახსენი პირი და მოაღუნე სახის კუნთები. ცოტათი შემოატრიალე თავი. აი ასე. ახლა სარკეში მე ვხედავ ძვალს. დაუდი, მომაწოდე მაშა. კალი, შეუცადე არ გადაყლაპო ნერწყვი. ნუ გეშინია, არ გეტყინება.

ბიჭჭა თვალებით ანიშნა, რომ ყველაფერი ესმოდა. თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ ექიმმა ამოულო ძვალი. კალიმ შეხედა ქირურგიულ სარკეს - ის უჩვეულო იყო, პატარა, კოგზის ფორმის. მან სახესთან მიიტანა ეს სარკე და დაინახა თავისი ცხვირის ბოლო. სარკეში არეკლილი მისი კანი, ჰიპოტონიაში კანს აგონებდა.

- ეი, სარკე ხომ ტყუის, დაუდი! ის ხომ ყველაფერს ადიდებს!

- ჰო, მაგრამ როგორც თავად დარწმუნდი სარკე ძალიან სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა რაიმეს დანახვა ყელში. გინდა ერთ ისტორიას გიამბობთ? ეს ამბავი ზუსტად იმის შესახებ არის, თუ რატომ აჩვენებს ჩვეულებრივი სარკე სწორედ იმას, რასაც ხედავს.

- ყოველთვის? - იკითხა კალიმ.

- და სწორედ იმას? - თავის მხრივ დაამატა ტალიმ. დაუდიმ თავი დაიქნია.

- კარგი, გვიამბე ეს ისტორია დაუდი!

ექიმის თანაშემწერ გაიღიმა:

- ახლა უნდა ვიმუშავო. თუმცა მჩის ჩასვლის შედეგ გვექნება დრო ისტორიის სამბობლად.

როცა მოსაღამოვდა, ტალიმ და კალიმ მოიყვანეს გულუ ურიკით და დასვეს ტაბურუტზე.

- ჰიპოტონიაში ფეხი უფრო დიდია, ვიდრე ეს ტაბურუტი? - იკითხა გულუმ.

- ალბათ ორ-სამჯერ უფრო დიდი, ვიდრე ეს ტაბურუტია! - უპასუხა დაუდიმ. - ახლა კი მისმინეთ.



ერთხელ ანტილოპა დიკ-დიკმა და მაიმუნმა ტოტომ შენაძნეს ჰიპოპოტამი, რომელიც წყალს მიშტერებოდა. თუმცა ყველთვი, რასაც ის იქ ხდავდა, იყო მხოლოდ მღვრიე წყალი და ჭაობის ტალახი.



ჰიპოპოტამმა დაამთქარა. ანტილოპა დიკ-დიკი შეკრთა, დაინახა რა მისი უშველებელი, სარდაფის მსგავსი ხახა. ნესტოებიც ძალიან უშნო ჰქონდა, განსაკუთრებით მასზე ამოსული ბერები.



- თუ გაჩვენებ, როგორი ლამაზი ხარ, გაკვეტი ჩემთვის ქოქოსის კაკალს?“ ჰიპოპოტამი მაშინვე გამოუიდა ტბორიდან. „ჰმ... ლამაზები, მართლაც!




ბუხუმ დახედა თავის ტალახიან ფეხებს. „თუ მით ვერავ წყალში!“ - თქვა ამაგად, შემდევ ჯერ ერთ ფეხს დააგირდა და დურადღებით, მერე მეორეს.



„ყველთვის ასეა! - დანანებით თქვა ბუხუმ - არადა მე მხოლოდ ჩემი ანარეკლის დანახვა მინდა.“ მაიმუნ ტოტოს პრობლემა ჰქონდა: მას არ შეეძლო ქოქოსის კაკლის გატეხა.



უცებ ტოტოს იდეა მოუკიდა თავში. მან ნიშანი მისცა ანტილოპას და ორივენი მივიღნენ ტბორთან. ტოტომ თავზიანად მიძართა ჰიპოპოტამს: „ბუხუ, შენ არა-ჩვეულებრივი კბილები გაქვს!“



ეს სწორედ ის სიტყვებია, რომელებსაც ვერ ვიხსენებდი, - გამხიარულდა ბუხუ. - იცი რა ტოტო, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია იმისი ცოდნა ლამაზი ხარ თუ არა. ამაზეა დამოკიდებული განწყობა.“



და დაამატა: „რაც მე მომწონს ეს ის არის, რომ შემიძლია დავინახო როგორი ფეხები მაქვს. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ... ჰმ... ტოტო, შენ მართლაც გინდა მაჩენო, როგორ გამოვიყურები?



ამიტომაც მივიდა ბუხუსთან, რომ ის დახმარებოდა. „იმედი მაქვს ისე არ გამოვიყურება, როგორც დედია ზოხო, და მით უშეტეს, როგორც ჩემი ბიძშვილი ბობი. იმედი მაქვს, ...ჰმ... დამაციწყდა, ამას რა ქვია,“ - ბურტყუნებდა ბუხუ.



ბუხუმ თვალები დაახამხამა და მაიმუნს შეხედა: „ჰმ, მართალია, ისინი ძალიან მეტმარება... ჰმ.“ ამავე დროს ლამაზებიც არის, - დაამატა სწრაფად ტოტომ.



ტოტომ თავი დაუქნია: „ჰო! შენ ფეხებიც ძალიან ლამაზი გაქვს, ძლიერიც. აბა, გაჩვენეტ კაკალს?“ ტოტო მოუთმენლად ცმუკავდა ადგილზე.




შეეძლებ დავინახო ჩემი თვალები და ყურები?“ - რა თქმა უნდა! - მოუგო ტოტომ, რომელიც მოუთმენლობისაგან აქეთიქით ხტოიდა. - აბა, როდის გაკვენეტ ამ კაკალს ჩემთვის?, - „ქოქოსის კაკალს? აჲ, ამას. . .



გინდა, რომ ეს გავკვითო? ძალიან ადგილია. ჩამიღე ხახაში. „ტოტომ გააკთა, რაც ბუხუქ უთხრა და გვერდზე გადახტა, ისე, ყოველი შემთხვევისთვის. ბუხუქ დაკეტა ხახა.



„არა, არა, ბუხუქ, გახსენი პირი! - დაიყვირა ტოტომ. - გახსენი რა!“ პიპოპოტამშა პირი ამოძრავა: „რას მეუბნები ტოტო? პირი უნდა გაუხსნა?“ - „ჰო, გახსენი რა! და ნუ გადაყლაპაჟ ჩემს კაკალს!“ ბუხუქ



გახსნა პირი: „შენ რა არ გინდოდა, რომ ის გადამეყლაპა?“ ტოტომ სწრაფად მოკრიფა ყველაფერი, რაც დარჩა ქოქოსის კაკლიდან და გვერდზე გადგა. „აბა, მაჩვენებ, როგორ გამოვიყურები?“ - არ წენარდებოდა ბუხუქ.




იქით წადი, - თქვა ტოტომ და პალმის ფოთლებისაგან აშენებული ძველი ქონი დანახვა, - ფურადლებით დაათვალიერე იქაურობა.“ - „საწყალი ბუხუქ! ის ხომ ძალიან შეშინდება ჩაიბურტყუნა




დიკ-დიკმა. შემდეგ მიმართა პიპოპოტამს: „ბუხუქ, არ წახვიდე!“ მაგრამ ბუხუქ არ უშენდა მას. ძალიან იყო აღელვებული. დიკ-დიკს გადახტომა მუწია, რომ არ მოყოლილიყო მის ქვეშ.



„ბოლოს და ბოლოს დავინახავ, როგორი ვარ! - უხაროდა პიპოპოტამს. - დეიდა ზონხს და ჩემს ბიძაშვილ ბობოს ალბათ შეაშინებდა საკუთარი გამოსახულება!“



ის შევიდა სახლში. პირველ ოთახში არაფერი იყო საინტერისო, გაგიდა მეორე ოთახში, სადაც თავისიდა გასაკვირად სხვა პიპოპოტამი დაინახა.



როგორ! ასეთი უშნოა ეს პიპოპოტამი!“ - გაიფიქრა ბუხუქმ და გვერდზე გაიწია. უცნობი უცბად გაქრა. „უცნაურია, - ჩაიბურტყუნა ბუხუქმ, - მე ხომ დავინახე, რომ აქ სხვაც იყო.“



შეტრიალდა კარისაკენ და დაიყვირა „ტოტო, შემთხვევით სხვა პიპოპოტა-მიც ხომ არ გინახია აქ?“ მაიმუნი მაღალ პალმაზე აძვრა, მოკვითა ქოქოსის კაკალი და თვალი გადაავლო იქაურობას.




„ჩენს გარდა, აქ არავინ არის, ბუხუქ,“ - დაიყვირა პასუხაში. „არავინ? დარწმუნებული ხარ? შენ, დიკ-დიკ, არავინ გინახვეს?“ ანტილოპამ უარის ნიშანად თავი გააქნია.



„უცნაურია, - ჩაიბურტყუნა ბუხუქმ, - ძალიან უცნაური...“ ის შეობრუნდა და კელავ შევიდა სახლში. და იქ ისევ დახვდა ის უცნობი. ბუხუქ დააკვირდა მას. მისი ფეხები ჰგავდა ბუხუქს ფქებს.



არასასიამოგნო აზრმა გაუელვა თავში. მან დაინახა პიპოპოტამის ორი შეშტო-თებული თვალი, მას რომ შემოსცეროდა. თვალებს ქვემოთ კი ნესტოები, რომ-ლებზეც ნამდვილად ვერ იტყოდი, რომ ლამაზი იყო.



ბუხუმ ხახა დააღო. უცნობმაც დააღო ხახა, და ბუხუმ დაინახა ბევრი დიდი კბილი. ბუხუმ სწრაფად დახურა პირი. უცნობმაც გაიმეორა მისი მოძრაობა.



ვერ დავიჯერებ!“ ასწია ფქი და დაარტყა სარკეს. ამასთან გამინავი ხმაც გამოსცა, შემდევ ცხვირი შეჭმუხნა. როცა ყველაფერი დაწენარდა, კვლავ გაიზედა წინ, მაგრამ უცნობი აღარ ჩანდა.

ბუხუს ბუნდოვანი წინათგრძნობა მართლდებოდა. მან იგრძნო, როგორ ჩამოუგორდა ლოუებზე ცრუმლები. უცნობსაც, რომელიც ბუხუს შემოსცექროდა, ჩამოუგორდა ლოუებზე ცრუმლები. დიკ-დიკმა,

რომელიც ბუხუს უკან იდგა, ნაზად თქვა: „ბუხუ, იფიქრე იმის შესახებ, როგორი კარგი მოცურავე ხარ!“ ბუხუს არ ესმოდა მისი ხმა. არ შეეძლო იმისი დაჯერება, რაც ნახა. „არა, არ მჯერა!



„ასე ჯობია, - შშვიდად ამოისუნთქა ბუხუმ. - ბოლოს და ბოლოს ის სადღაც წაგიდა.“ გააქნია თვე და მდინარისაკენ გასწია. „ჩემი გამოსახულება?! რა სისულელეა!“ წყალი გრილი და წყნარი

იყო, დუმფარის ფესვები კი, ნაზი და გემრიელი. ბუხუ წყალში ჩაიძირა, მხოლოდ ნესტორებიღა უჩანდა. ის მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „არა, არ მიყენს მე სარკე.“

ნახატი ი. პ.



დაუდი დადუმდა და შეხედა ბავშვებს, რომლებიც თავის მხრივ ინტერესით შესცემოდნენ მას. იუდიტმა თავი გააქნია და თქვა:

- ბუხუ სულაც არ ყოფილა ჭიკვიანი!
- მგოგო ფქით მიწაზე რაღაცებს ხატავდა:
- სარკეს ხომ არ მოუტყუებია.
- სწორია, - დაეთანხმა დაუდი. - ბუხუმ ყველაფერი არა სწორად გაიგო. ჩერელებრივი სარკე ყველაფერს ისე აჩვენებს, როგორც არის და არა ისე, როგორც ჩვენი სურვილი იქნებოდა. ღმერთმაც ჩვენ დიდი „სარკე“, ბიბლია მოგვცა. ამ წიგნის დახმარებით ჩვენ ყველაფერი ისე შეგვიძლია დავინახოთ, როგორც ხედავს ღმერთი, როცა გვიყურებს. მას ვერაფერს დავუმაღავთ. და ვერც ვერაფერს გავალამაზებთ. ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ ღმერთს შეუძლია დაგვეხმაროს ჩვენ ცხოვრების შეცვლაში. სწორედ ამ წიგნში ვპოულობთ პასუხებს ჩვენს კითხვებზე. მასში შეგვიძლია ვიპოვოთ ის გზა, რომელიც ღმერთმა მოამზადა თითოეული ჩვენგანისათვის, და გავიგოთ იმის შესახებ, როგორ უნდა მას, რომ ადამიანები იქცეოდნენ. საჭიროა ჩვენ სწორად გამოვიყენოთ ეს „სარკე“ და ისე არ მოვიქცეთ, როგორც მოიქცა ბუხუ.

დაუდი წამით შეჩერდა და შემდეგ იკითხა:

- როგორ ფიქრობთ, ამასთან ერთად რა არის ძალიან მნიშვნელოვანი?
- იქნებ ის, რომ ჩვენ ხშირად ვიკითხოთ ღმერთის წიგნი? - თქვა მგოგომ.
- მართალი ხარ, - დაეთანხმა დაუდი. - ყველაზე უკეთესია ისევე წშირად ვიყუროთ ღმერთის სარკეში, როგორც ჩვეულებრივში.

### სასარგებლო რჩევა

ყველდღიურად იკითხეთ  
ლეთის სიტყვა და მოიქცით  
ისე, როგორც ის გვასწავლის.

# კელინ ჰერსნი

1877–1969

დაარსა საბავშვო კლუბი, რომელსაც დაარქვა „კიბის სახარების ლიგა.“ თანდათან ამ ლიგას მოზრდილებიც შეუერთდნენ.



ჰელენი ყველაზე უმცროსი იყო კედერების ოჯახში. მას სამი ძმა და ორი და ჰყავდა. ოჯახი ცხოვრობდა მოსლის ჰელენურ დარბაზში, ინგლისში. დარბაზს გარს ერტყმოდა დიდი და ლამაზი პარკი. ოჯახი კარგად ცხოვრობდა. მათ ეკუთვნოდათ მსოფლიოში სახელგანთქმული შოკოლადების ფაბრიკა, სადაც უგემრიელეს შოკოლად „კედერის“ აწარმოებდნენ. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მშობლები მორწმუნები იყვნენ და უყვარდათ იესო ქრისტე. ისინი ბავშვებს ბიბლიურ ამბებს უყვებოდნენ.



მოსლის ჰარბზი. 1883 წ.


ჰელენის მშობლები წმირად იწვევდნენ სტუმრებს ბავშვებთან ერთად და ისინიც სიამოვნებით თანხმდებოდნენ მიწვევას. ცხადია ამას პარკში მხიარული გართობა მოჰყვებოდა ხოლმე. ხანდახან ყველაზი ერთად მიდიოდნენ სალაშქროდ ახლოს მდებარე ტყეში. ლაშქრობის დროს სალილად ყოველთვის ჰქონდათ შემწვარი ძეხვები.

სადილის შემდეგ, ყველანი დანაყრებულები და კამფოფილები მოიკალათებდნენ ხოლმე მოლზე, მამა კედერი ბიბლიიდან ყვებოდა რომელიმე ისტორიას. პატარა ჰელენი მას განსაკუთრებული ყურადღებით უსმებდა. ის ცოცხლად წარმოიდგენდა იმ მოულენების მონაწილეებს, რომელთა შესახებაც ყვებოდა მამა.

როდესაც მოიზარდა, ჰელენმა დაიწყო ფიჭი იმის შესახებ, სამართლიანი იყო თუ არა ის, რომ თავად კარგად ცხოვრობდნენ, სხვა ადამიანები კი იტანჯებოდნენ ცხოვრებისგან. მოსლი ჰოლის შორიახლოს მდებარეობდა ქალაქი ბირმინგემი. ამ ქალაქი ათასობით ადამიანი საშინელ პირობებში ცხოვრობდა სიღატაკის გამო. ბევრი სკამდა, რაშიც უკანასკნელ გროშებს ხარჯავდა და იმედოვნებდა, რომ დაივიწყებდა თავის გასაჭირს.

ჰელენის მამა ხედავდა ამ გასაჭირს და ძალიან სურდა გაჭირვებულების დახმარება. და მან ეს მოახერხა: ააშენა თვეშესაფარი დარიბებისთვის და მას სამისიონერო სახლი უწოდა. ის ეხმარებოდა დარიბებს ეპოვათ კარგი სამუშაო და საცხოვრებელი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ უყვებოდა მათ იესის შესახებ.

სამი სიონერო სახლში ხშირად მოდიოდნენ მახარებლები მთელი ოლქიდან. ჰელენი, რომელიც ამ დროს უკვე ცამეტი წლის იყო, ყოველთვის ესწრებოდა შეკრებებს და უყრადღებით უსმენდა ქადაგებებს. ხანდახან გუნდთან ერთადაც გალობდა. ჰელენს ყოველთვის აოცებდა ის, როგორი გახარებულები და ბედიურები გამოიყურებოდნენ მგალობლები. მან იცოდა, რომ ზოგი მათგანი ადრე არაწესიერ ცხოვრებას ეწეოდა: ქურდობდა,



შოკოლადი „კედერი“

სვამდა, ძალადობდა ოჯახზე. ოუმცა მას შემდეგ, რაც ისინი დასახლდნენ სამისიონერო თავშესაფარში, მათი ცხოვრება ძირფესიანად შეიცვალა. ისინი გაეცნენ იქსოს, შეიცვალეს ის და გაიგეს, რომ უნდა შეცვალათ ცხოვრება.

ჰელენი ფიქრობდა: როგორ არის შესაძლებელი, რომ ადამიანი ასე შეიცვალოს? მან უფრო მეტი ყურადღებით დაიწყო სამისიონერო თავშესაფარში მოსული მქადაგებლების მოსმენა, რომლებიც ყვებოდნენ იქსოზე. მას ძალიან უნდოდა გაეგო, ვინ იყო ის და როგორ დამოკიდებულება პქონდა მას ადამიანთან. ოუმცა ის ბავშვობიდანვე ისმენდა ისტორიებს იქსოს შესახებ, მაგრამ არ იცოდა, რას ნიშნავს იქსოსთან ერთად ცხოვრება. მას სურდა ისეთივე სიხარულით სავსე ყოფილიყო, როგორც მგალობლები გუნდში. ცხადია, ის კარგად ცხოვრობდა. უკითხსად, ვიდორ დანარჩენი ადამიანების უმრავლესობა. და მაინც გრძნობდა, რომ რაღაც არ კმარიდა, რაღაც, რაც პქონდათ ამ დარიბ ადამიანებს.

ერთ შევენიერ საღამოს მისიონერულ სახლში კვლავ მოვიდა სტუმარი მქადაგებელი. ჰელენი, როგორც ყოველთვის სულგანაბული უსმენდა მას. სტუმრის სიტყვები გულში ჩასწედა. ის უეცრად მიხვდა ვინ არის იქსო და როგორი გმირობა ჩაიდინა მან: მოკვდა იმისათვის, რომ ყველა, მათ შორის თავად ჰელენიც, გათავისუფლებულიყო ცოდვისაგან და ეცხოვრა მასთან ერთად! მას შემდეგ, რაც დასრულდა ბოლო საგალობელი, მქადაგებელმა თქვა: „ყველას, ვისაც სურს მიიღოს იქსო ქრისტე თავის პირად მხსნელად, ვთხოვ, მოვიდეს აქ და ჩვენ მასთან ერთად ვილოცებთ.“

ჰელენი შეშინდა. იქსოს მიღება უფლად? ჰო, ეს მას ძალიან უნდოდა! მაგრამ წინ გასვლა, ყველას დასანახად...? შეეფეხდა, მაგრამ გული გაიმაგრა და გავიდა სხვებთან ერთად. წინ იდგა მამამისი, რომელიც მზად იყო სხვებთან ერთად ელოცა.



დასახლება ბონვილი, რომელიც ააშენა ჰელენის მამაში შოკოლადის ფარიკის მუშენისთვის

როცა ასული დაინახა, თავისთან მიიფანა. როვენი მუხლებზე დადგნენ და ილოცეს. ჰელენმა სთხოვა იქსოს შესულიყო მის გულში.

იმ საღამოს შინ დაბრუნებისას, მან იგრძნო, რომ რაღაც შეიცვალა, გული სიხარულით პქონდა სავსე.

მეორე დილით, სასკოლო ჩანთის გამზადებისას, მან შეინიო დიდი ბიბლიაც ჩადო. ძალიან უნდოდა მთელი კლასისათვის მოეყოლა ის, რაც თავად განიცადა, ოუმცა არ იცოდა, როგორ გაეკეთებინა ეს.

დასვენებაზე ჰელენმა ამოიღო ბიბლია და მჯობარ გოგონას მიმართა: მოიცადე ერთ წამ! მნიდა რაღაც წაგიკითხო. „გახსნა ბიბლია, და წაუკითხა ერთი მუხლი. უამბო მას იქსოზე და იმაზე, რაც თავად განიცადა გასულ საღამოს. „არ გინდა, რომ შენც სიხოვო იქსოს შემოვიდეს შენს ცხოვრებაში?“ — ჰელენმა თანაკლასელს.





### ნახატი ვ. ბ.

გოგონა გაოცებული იყო. თუმცა ამან აიძულა ის დაფიქრებულიყო და გარკვეული ღროის შემდგ მანაც ირწმუნა იესო. ახლა კლასში ორ გოგონას სწამდა და უყვარდა ქრისტე. მას შემდეგ, რაც ორივე კიდევ ერთ გოგონას უამბო უფლის შესახებ, მანაც თქვა: „ჰო, მინდა რომ იესოს ვეკუთვნოდე.“

იმ დღიდან სამივე გოგონა გულმოდგინედ აურცელ-ებდნენ ქრისტიანულ ბუკლეტებს სკოლის ეზოში. რომლებშიც ქწერა იმის შესახებ, რაც იესომ გააკეთა ადამიანებისათვის და როგორ შეიძლებოდა მისი მიღება გულში. ზოგი მოსწავლეები დასცინოდნენ პელენსა და მის მეგობრებს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომელთა დამოკიდებულებაც განსხვავდული იყო. ქრისტია-ნული ბუკლეტების წაკითხვის შემდეგ მათ კითხვები უჩნდებოდათ და მოდიოდნენ გოგონებთან პასუხების მისაღებად და იმისათვის, რომ უფრო მეტი გაეგოთ იესოს შესახებ. ამგვარად სამივე გოგონები მისიონე-რები გახდნენ თავიანთ სკოლაში.

ღროის კვალობაზე მრავალმა გოგონამ მიიღო იესო თავის გულში და ყმაწვილქალი მისიონერების ჯგუფი იზრდებოდა. ისინი თავიანთი სქელტანიანი, მძიმე ბიბლიიბით საბაგშვი მოედნებზეც კი მიდიოდნენ და ხმამაღლა უკითხავდნენ ბიბლიას იქ მოთამა-შე ბაგშვებს.

მამის გულს სიხარულით აქსებდა თავისი გოგონას სამისიონერო გულმოდგინება. მაგრამ, როცა ხედავდა რა ძნელი იყო სქელტანიანი, მძიმე ბიბლიის ტარება, დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ დახმარებოდა მას. პატარა ფორმატის ბიბლია სავარაუდოდ მოაგვარებდა ამ პრობლემას! მამამ გადაწყვიტა დაებეჭდა ახალი აღოქმა, რომლის ტარებაც თავისთვის ყოველთვის იქნებოდა შესაძლებელი და მართლაც, მალევე გოგონებს ხელში ეკავათ პატარა ფორმატის, ე.წ. „ჯიბის სახა-რებები.“

ამ პატარა ზომის ახალი აღოქმების მიღების შემ-დგ გოგონებმა გადაწყვიტეს კლუბის დარიგება, რომლის წევრიც შეიძლებოდა გამხდარიყო ქველა გო-გონა, რომელიც ვალდებულებას აიღებდა ეცხოვრა გარკვეული პრინციპების მიხედვით. იყო სამი ძირი-თაღი პრინციპი:

ყოველფლიურად ლოთის სიტყვის კითხვა  
და მისი მიხედვით წხოვრება.

ლოთის სიტყვის ყოველოფის თანქონა.

ლოთის სიტყვის ალიარება და მისი გაზიარება  
სხვა ადამიანებისათვის.

გოგონებმა თავიანთ კლუბს უწოდეს „ჯიბის სახ-არების ლიგა.“ თანდათანობით მათ მოზრდილებიც უერთდებოდნენ. ეს ლიგა იზრდებოდა, მისი საქმიანო-ბა გასცილდა ინგლისის ფარგლებს, და სხვა ქვეყნებ-შიც შეიტყვეს მის შესახებ.

რაღა დაემართა პელენს? ერთ-ერთ საეპარქელიზა-ციონ შეხვედრაზე ის გაეცნო ამერიკელ მქადაგებელს ჩარლზ ალექსანდრეს. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და მალევე იქორწინეს. ყველაზე მთავარი მათთვის იყო სახარების გაზიარება სხვა ადამიანებისათვის. ისინი



წოლ-ქმარი  
ეფრერები.  
1919 წ.

მოგზაურობდნენ მთელს მსოფლიოში, და ადამიანებს, ყველას ყველგან ურიგებდნენ ჯიბის სახარებებს.

ახლა „ჯიბის სახარებების ლიგა“ კვლავაც მწვა თავის მსახურებას მთელს მსოფლიოში.

ლმერთს სკოლს, რომ რაჯ შეიძლება მეცნა ადამიანება მოსიმინოს მისი სახარება. თითოეულ ადამიანს შეუძლია იესოსაფიში თავისი რწმენა გაუზიაროს მეორეს იქ. სადაც ის იმყოფება: იქნება ეს სკოლაში, სახოვრებელ სახლებთან მდებარე ეზოებში, თუ საბავშვო მოფნებზე.

# სიმღერების გვერდები

რა ვიცით ჩვენ იესო ქრისტეზე? როგორი იყო ის? იესო იყო კეთილი, ურთიერთობდა ყველასთან, ვისაც სურდა მასთან ერთობა: დარიბებთან, ბავშვებთან, მოხუცებთან, უბრალო ადამიანებთან, ცოდვილებთან. ის იყო წმიდა. არავის შეუძლო მისი დადანაშაულება ცოდვაში. იესომ ერთხელაც მის ირგვლივ შეკრებილებს უთხრა: „რომელ თქვენგანს შეუძლია მამხილოს ცოდვაში?“ ის იყო ძალიან ბრძენი. რამდენჯერ ცდილობდნენ მისი არაკეთილისმოსურნენი მის სიტყვაში დაჭრას, მაგრამ იესომ ყოველთვის იცოდა, როგორი პასუხი გაეცა მათთვის. ის იყო ყოვლისშემძლე. ჩვენ გვახსოვს, ერთი სიტყვის წარმოთქმით, როგორ დააცხრო ზღვაზე ამოგარდნილი ქარიშხალი. ის იყო სიყვარულით საუსე. კეთროვნებს წმედდა კეთრისგან, ბრძებს თვალებს უზელდა, მევდრუბსაც კი აბრუნებდა სიცოცხლეში. ის იყო ძალიან მოწყალე. ჯვარცმის დროსაც კი, ის თაგის ზეციერ მამას სთხოვდა: „მამაო, მიუტევე მათ, რადგან არ იციან რას აკეთებენ.“

დედამიწაზე იესოზე კეთილი ადამიანი არავინ იყო. მაში რატომ ექცევოდნენ მას ცუდად ადამიანები? რატომ მოკლეს ის? იესო ამბობს: „მე რომ ამქვეყნიერებისაგან ვყოფილიყავი, ისინი შემიყვარებდნენ მე. მაგრამ რადგან არ გარ ამ ქვეყნიერებისაგან, მათ შემიძულებს.“ თაგის მოწაფეებს კი ეუბნებოდა: „მე მდვნილენ, თქვენც გაგდევნიან. მე მომიძულეს, თქვენც მოგიძულებენ.“ და მართლაც, ყველა მოციქული დაიტანჯა სახარების ქადაგების გამო. ყველა, იმანეს გარდა, დასაჯეს იესოს რწმენის გამო. მაგრამ მათ ეს ტანჯვა სიხარულით მიიღეს: სიმტკიცით და იესოს მიმართ სიყვარულით მათ სძლიერ შიშს. მოციქულებმა იცოდნენ, რომ იესო ყოველთვის მათთან იყო, როგორც აღუთქვა კიდეც.

ყველა დროში, ჩვენი ერის პირველი საუკუნიდან დაწყებული, იესო ქრისტეს მორწმუნებს დევნილნენ: მათ, არენაზე შეკრებილი ხალხის გასართობად, აიძულებდნენ შიშველი ხელებით შებმოღნენ ლომებს, წვავლნენ კოცონებზე ანდა ახრჩბდნენ მდინარეებში. იმათი სახელები, რომლებიც არ აჰყვნენ ცდუნებას და არ დანებდნენ, იცის ისტორიამ და ჩვენ ისინი ახლაც გვახსოვს. ხოლო უფალმა თითოეული მათგანის სახელიც იცის!

რატომ დევნილენ მათ? — იკითხავთ თქვენ. იმიტომ რომ იესო ქრისტეს მორწმუნები არ არიან ამქვეყნიერებისა. ჩვენც ასეყოფი ვართ. რას ნიშნავს „არ არიან ამქვეყნიერებისა?“ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვცხოვრობთ ამ ქვეყნიერების წესების მიხედვით: არ ვიტყუებით, არ ვქურდობთ, არ ვჩეუბობთ, არ ვიყენებთ ნარკოტიკებს, არ ვსვამთ არავს. ვცდილობთ ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობდა იესო. ამიტომაც არ ვუყვარვართ ამ ქვეყნიერებას. ჩვენ მათ ეკალიფით ვესობით თვალში, როგორ ამბობენ ხალხში. ხელს ვუშლით. როგორც იესო, ჩვენი უფალი, უშლიდა ხელს. ის აფრთხილებდა თვეის მოწაფეებს: „მე მდევნილენ, თქვენც გაგდევნიან. მაგრამ გაიხარეთ, თუ თქვენ ჩემს გამო დაგიწყებენ დევნას! რადგან საუკუნო სიხარულს, ნეტარებასა და ღმერთიან ერთობას მიიღებთ ჯილდოდ!“

ასე რომ, ნუ წარვიკეთო სასოს! ჩვენ ვიცით, რომ იესო ჩვენთან არის! თუ დაგვცინიან, თუ შეურაცხვებენ, თუ გვავიწორებენ ანდა გვდევნიან: ასე ექცეოდნენ იესო ქრისტესაც. იესოსთან ერთად კი ჩვენ არ გვეშინია, მასთან ერთად ჩვენ ყველაფრის გადატანა შეგვიძლია.

# 21. ულტრაიმპიზი

ჩვენ ქუჩაში მივდიოდით. მოულოდნელად თორმეტიოდე წლის მოხარდმა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ხელი სტაცა ან ფეხში ან კუდში მშვიდად მწილიარე კატას და მთელი ძალ-ღონით აისროლა მაღლა. ხმამაღლალი კნავილით, თუმცა საოცრად მარჯვედ კატა ოთხივე ფეხით დაეშვა სახლის სახურავზე და აკად დაუღრინა ბიჭს. ბებომ, რომელიც ბიჭს უკან მოსდევდა ამოიგმინა და დაუყვირა: „რატომ აკეთებ ამას, შე უღმერთო!“ მოხარდმა პასუხად მხოლოდ გადაიხარხარა და კუთხეში შეუხვია.

„რატომ უწოდა მან ბიჭს უღმერთო? - გავითიქრე მე. - ალბათ იმიტომ, რომ ბიჭმა ბოროტად იძალადა ცხოველზე და შესაძლოა არც ადამიანი დაინდოს.“ და მართლაც, როგორც ამბობდა რუსი მწერალი ფ. დოსტოევსკი, „თუ არ არის ღმერთი, ყველაფერი ნებადართულია.“ შეიძლება, სწორედ იმიტომ, რომ „ყველაფერი ყოფილიყო ნებადართული,“ ადამიანებმა დაიწყეს ღმერთის უარყოფა: არ გვინდა, რომ ის არსებობდეს და გვაკავებდეს! სავარაუდოდდ, სწორედ ეს გახდა ათეიზმის, ანუ ღმერთის უარყოფის, გამოჩენის მთავარი მიზეზი.



წითელარმიელები ქარხვავენ მონაცემებს.

უღმერთოები, რომლებსაც არ ეშინოდათ ღვთიური შურისძიებისა, ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ეს მოვლენა საყოველთაო XVIII საუკუნის ფრანგულმა რევოლუციამ გახადა. თუმცა, ყველაზე დიდი გაქანება ათეიზმმა რუსეთში პპოვა, და ეს 1917 წელს დაიწყო. ამ დროს წარმოიქმნა „პროლეტარული“ სახელმწიფო, რომლის იდეოლოგიაც მატერიალიზმი და უღმერთოება გახდა.

თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან საბჭოთა მთავრობა უსასტიკესად ებრძოდა რელიგიას. მღვდლებს, მქადაგებლებსა და აქტიურ მორწმუნებს კონტრრევოლუციონერებად აცხადებდნენ, ასამართლებდნენ და ხვრეტდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სწამდათ ქრისტე.

1923 წლის იანვარში მოსკოვის გარნიზონის კლუბში, სახალხო კომისრების ლტროცისა და ა. ლუნაჩარსკის თანდასწრებით, შედგა კრება, რომელზეც ინსცენირებულ იქნა პოლიტიკური ტრიკის უნალის სხდომა - ღმერთისთვის განაჩენის გამოსატანად.



ამ დროიდან ხელისუფლებამ დაიწყო საეკლესიო ნაგებობების, ტაძრების, სამლოცველო სახლების ნგრევა, მორწმუნეთა ქონების წართმევა და შეკრუბების აკრძალვა.

1929 წ. საბჭოთა კავშირში შემოღებულ იქნა ექვსდღიანი კვირა ნაცვლად შვიდდღიანისა. ანუ იყო ხუთი სამუშაო დღე, მექენე კი - გამოსასვლელი. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ გონიერიანი ამოეშალათ ქრისტეს აღდგომის ხსოვნა. ამგვარი კვირა შენარჩუნდა 1940 წლამდე. გაუქმდა ქრისტიანული დღესასწაულები - თითქოსდა „საბჭოთა მშრომელების მრავალრიცხოვანი თხოვნების“ საპასუხოდ. თითქმის ყველა სამლოცველო სახლი იქნა მოხსნილი რეგისტრაციიდან და დაიხურა. მაგრამ მორწმუნები გააერთიანა უბედურებამ და საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რელიგიური იატაკებებით.

დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ, მორწმუნეთა დევნა შეჩერდა. მებრძოლ უღმერთოთა კავშირი გაუქმდა. სტალინს, საბჭოთა სახელმწიფოს მაშინდელ ხელმძღვანელს სჭირდებოდა ხალხის მხარდაჭერა პიტლერელებზე გასამარჯვებლად. ამიტომაც აღდგენილ იქნა მოსკოვის საპატრიარქო. კვლავ ნებადართული გახდა სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა კუშირი. კვლავ დაიწყო სამლოცველო სახლების გახსნა, თუმცა მორწმუნებს კვლავ მკაცრად აკონტროლებდნენ. ზოგიერთი მორწმუნე ასრულებდა ხელისუფლების მოთხოვნებს, სხვები უარს ამბობდნენ იმ კანონის მორჩილებაზე, რომელიც ადამიანებს ხელს უშლიდა ღმერთის თაყვანისცემაში. XX საუკუნის 80-იან წლებამდე გრძელდებოდა მორწმუნეთა დევნა და გასამართლება.

სიტუაცია შეიცვალა 1988 წლიდან, როცა საბჭოთა კავშირში, მოგვიანებით კი სხვა ქვეყნებშიც, რომელებიც მისი დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდნენ, შეწყდა რელიგიური დევნა. თუმცა უღმერთობები არ გამქრალან ამ ქვეყანაზე.



ემელიან იაროსლაველი  
ანტირელიგიურ მიტინგზე

1922 წლიდან დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „უღმერთომ“, „შემდეგ კი ჩამოყალიბდა მებრძოლ უღმერთოთა კავშირი, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც ანტირელიგიური ხულიგნების საზოგადო ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელი გახდა ლენინის აღზრდილი ემელიან იაროსლავსკი, რომელსაც ისტორიკოსებმა მარჯვედ შეარქენს ეშმაკის კომისარი. იაროსლავსკი აქტიურად განაგრძობდა ლენინის პოლიტიკას, რომელიც რელიგიასთან ბრძოლას „სახელმწიფოს საქმედ“ თვლიდა. მისი თაოსნობით უდმერთოები ძარცვაზენ მონასტრებს, წვავდნენ ხატებს, აწყობდნენ ანტირელიგიურ პარადებს – უგრეთ წოდებულ კომკავშირულ „პასექებსა“ და „შობის დღესასწაულებს.“

ჭარის აფეთქება მოსკოვში 1931 წ. 5 შეცემა





3. მ.

ფარაონი. თ. 37-50: გამოსფლა, თ. 1. (ძვ. წ. XV ან XIII საუკუნე.)

# მონაბი ეპიდემი

თიხისაგან აგურების  
მოსაშაბდებლად  
იყენებდნენ  
სპეციალურ ხის  
ფალიბებს. იპოვე 5  
კაცი, რომლებსაც  
ასეთი ფალიბები  
უჭირავთ.




სარწყავ არხებს  
მდინარის წყლით  
ავსებდნენ  
სპეციალური  
მოწყობილობით,  
რომელსაც შადუფი  
წოდებოდა. იპოვე  
ასეთი შადუფი.



აგურების საკეთებელ  
თისას უკეთებნენ  
დაფშნილ ჩალას.  
იპოვე სამი კაცი  
ჩალის კონებით.



ზედამხედველები  
სასტიკები იყვნენ.  
იპოვე ორი  
ზედამხედველი,  
რომელებიც სცემენ  
კაცს.



ნადირობდნენ  
ასევე წყლის  
ფრინველებზე.  
იპოვეთ 4 იხვი.



ლერწამს იყენებდნენ  
სხვადასხვა მიზნებით.  
იპოვე კაცები,  
რომელებიც აგროვებენ  
ლერწმის ფოთლებს.



ზედავ ქალს,  
რომელიც  
წნავს ქალათას  
ლერწმისგან.




დღესასწაულებზე  
მაგიდაზე მოჰკინდათ  
შემწვარი ბატანი.  
იპოვე ბიჭი,  
რომელიც იჭერს  
ბატკანს?



აბრამის ძეს, ისააკს, ორი ძე ჰყავდა: იაკობი და  
ესავი. იაკობს კი თავის მხრივ 12 ვაჟი, თუმცა  
ყველაზე საყვარელი მათ შორის იყო იოსები.  
შურის გამო მმებმა იოსები მონად გაყიდეს  
ჰვიპტეში. თუმცა ის იქ ეგვიპტის მმართველი  
გახდა. როცა მის სამშობლოში შიმშილი  
ჩამოვარდა, იოსებმა, რომელმაც აპატია თავის

ძმებს, ყველას შესთავაზა გადასახლებულიყვნენ  
ქანანიდან ეგვიპტეში. იქ მიწა ნაყოფიერი  
იყო და კარგ მოსავალს იძლეოდა, ვინაიდან  
ირწყვებოდა მდინარის წყლით. თუმცა, წლების  
შემდეგ ეგვიპტელებმა ისრაელიანები მონებად  
აქციეს. ისინი აიძულებდნენ მათ მოყრათ  
აგურები, რომლებიც სჭირდებოდათ ფარაონებს  
ქალაქების ასაშენებლად.



ხედავ ორ ბავშვს,  
რომლებიც  
საზამთროს  
მიირთმევნ




მარცვლეულს  
სპეციალურ საცავებში  
ინახავდნენ. იპოვე 4  
ასეთი კოშკი-საცავი.



ჯოვი ძოვს  
მდინარის ახლოს  
ამოსულ მწვენე  
ბალახს. იპოვე  
9 ძროხა.



მდიდარი ადამიანები  
მოგზაურობდნენ  
ოჩხომელებით. იპოვე  
ოჩხომელა, რომელშიც  
ზის პრინცესა.



ნახატი პ. კ.

მნაშენელოვანი მეთაურები  
გადაადგილდებოდნენ  
ხოლმე საბრძოლო  
ეტლებით. რამდენი  
მცველი წმედს გზას ასეთი  
მეთაურის წინ?



საეყარელი მუსიკალური  
ინსტრუმენტები იყო  
დაირები. იპოვე ოთხი  
დაირაზე მოცეკვავე  
გოგონა.



ვევიპტელი  
უფლისწული  
ნადირობს.  
რამდენი  
ლომი  
გაურბის მას?



ვევიპტელები  
აღმერთისუბდნენ  
კატებს. იპოვე  
5 კატა.



მწერლები  
იწერდნენ  
მოგროვილი  
მარცვლეულის  
რაოდენობას.  
იპოვე ორი  
მწერალი.



მათ, რომლებიც  
მდინარის პირას  
ცხოვრობენ,  
ბაფაყები შეიძლება  
სატანჯველად  
ექცევთ იპოვე 9  
ბაფაყი.



ბალახებს  
აგროვებდნენ  
და იყენებდნენ  
საკვებად. იპოვე  
სამი გოგონა,  
რომლებიც  
აგროვებნ  
ბალახს.



ვევიპტელები  
აღმერთისუბდნენ  
კატებს. იპოვე  
5 კატა.

# გრივს გარემო

ნიკიტამ ძლიერ მიაღწია მეცადინეობების დასრულებამდე სკოლაში: თავი საშინლად სტკიოდა, დაქვეყნი სურდო. როგორც ჩანს გრიპი შეხვდა, რომლის ეპიდემიაც ძალას იკრებდა იმ დროს.

გზას რომ ადგნენ სახლისკენ, მეგობარმა უთხრა:

- დედაქემს არასოდეს ხვდება გრიპი! და ეს იმიტომ, რომ მუშაობს იმ სათბურებში, სადაც მწვანე ხახვს ზრდიან.

- იქნებ მას უბრალოდ რკინისებრი ჯანმრთელობა აქვს? - შეგპასუხა ნიკო.

- არა, მარტო ის კი არ ხდება ავად, არამედ სხვებიც, რომლებიც იქ მუშაობენ, არ ხდებიან ავად ეპიდემიის დროს. ეს ფაქტია!

- ეს ძალიან კარგია! მე მხოლოდ ის ვიცი, რომ თუ კრაზანა ვიკტენს, საჭიროა ხახვის წვერით გაიწმინდო ნაკბენი ადგილი. თუმცა არ ვიცოდი, რომ ხახვი სხეულებისაგან იცავდა. მეც არ ვიტყოდი უარს, რომ გრიპით არ გაუმხდარიყავი ავად!

- მაშინ შენც ასეთ სათბურში უნდა იმუშაო, - გაელიმა მეგობარს. - მამა ამბობს, რომ ხახვი მედიცინაში ჰიპოკრატეს დროიდან არის ცნობილი. ეს ბუნებრივი ანტიბიოტიკია, კარგი საშუალება, რომელიც ადამიანს სხვადასხვა სხეულებისაგან იცავს, ასევე ბევრ მათგანს კურნავს კიდეც. მუცლის ტიფის ეპიდემიის დროს 1805 წელს ის ადამიანები, რომლებიც დიდი რაოდენობით იყენებდნენ ხახვს, არ ხდებოდნენ ავად ამ სხეულებით. ხახვი ასევე ვიტამინების წყაროც არის, განსაკუთრებით საჭიროა მისი გამოყენება ზამთრისა და გაზაფხულის დროს.

- აი ისევ რაღაც ვისწავლე, - გაიღიმა ნიკიტამ. მე კი საერთოდ არ მიყვარდა ხახვის ჭამა... რას ვიზამ, მომიწევს დამოკიდებულების შეცვლა არ ჩვეულებრივი და ამავე დროს საოცარი მცენარის მიმართ.

ნახატი ა. ვ.

ხახვი - არის  
ორწლიანი და  
მრავალწლიანი

მცენარე,

რომელიც

მიეკუთვნება

შროშანისებრთ,

ხანდახან კი

მას გამოყოფენ

განსაკუთრებულ

ხახვისებრთა

ოჯახში.

ეს ერთ-ერთი

უძველესი

და ყველაზე

პოპულარული

ბოსტნეულია.



# ხევი

ხახვი - ვიტამინებისა და მიკროელემენტების წყაროა. ის არა მხოლოდ საკვებ პროდუქტად ითვლება, რომელიც პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ხალხის სამზარეულოში გამოიყენება, არამედ კარგ სამურნალო საშუალებადაც. მისი გამოყენება ყოველგარი სახით შეიძლება: ცოცხალი, შემწვარი, მოხარშული, მარინირებული და გამშრალი. საკვებად გამოიყენება არა მხოლოდ თალღამისებური ხახვის ძირები და ფოთლები, არამედ ზოგიერთი სხვა სახეობაც, მაგლითად სალამურისებრი ხახვი, პრასი, ნიორი და კიდვე სხვა. არსებობს ასევე ხახვის დეკორატიული სახეობებიც.

## საინტერესო ფაქტები

კველაზე დიდი ხახვი  
მსოფლიოში იწონიდა ექვს  
კილოგრამს და მოვანილ  
იქნა ინგლისში.



ძველი ეკვიპურები  
სასამართლო დავეძხე  
იფიცებოდნენ ეთქვათ მხოლოდ  
სიმართლე, და ამ დროს ხელს  
ისინი ხახვზე დებდნენ.



ძველი ბერძნები  
აფასებდნენ  
თალღამისებურ ხახვს,  
როგორც წამალს, მაგრამ  
იშვიათად ამატებდნენ მას  
საკვებში, ვინაიდან სუნის  
გამო მას მდაბიოთა საჭმელად  
თვლიდნენ.

## ხახვის ისტორიიდან

ბიბლიაში ხახვი პირველად  
არის ნახსენები იმ დროს, რო-  
ცა ისრაელიანები უდაბნოში  
ხეტიალობდნენ. უდაბნოში მათ  
ძალიან ენატრებოდათ ეგვიპ-  
ტური ხახვი.

ხახვის სამშობლოდ მკვლე-  
ვნები ხმელთაშუა ზღვის რეგი-  
ონს თვლიან, სადაც მისი გემო  
და სასარგებლო თვისებები ჯერ  
კიდვე 4000 წლის წინ შეაფასეს.  
ხახვის მოყვანა ბოსტნებში პირ-  
ველად შუმერებმა დაიწყეს,  
ხოლო პირველი წერილობითი  
ცნობები ამ ბოსტნეულზე ხეოპ-  
სის პირამიდის შიდა კედლების  
წარწერუბზე იქნა შემონახული.  
აღმოჩენილი დოკუმენტების  
მიხედვით შეიძლება გაგაეთოთ  
დასკვნა, რომ ძველად ხახვს  
იყენებდნენ საკვებად, ასევე  
სამკურნალო საშუალებად;  
გარდა ამისა ამ ბოსტნეულს  
ასევე იყენებდნენ რელიგიური  
რიტუალების, მუმიფიკაციის,  
დამარხვისა და მაგიური მიზნე-  
ბითაც კი.

ეპროპაში ხახვი გამოჩნდა  
X საუკუნის ბოლოსა და XI  
საუკუნის დასაწყისში და ის  
მაღვევე გახდა ფართოდ მიღე-  
ბული პროდუქტი კონტინენტზე.  
ამერიკაში ხახვი შეიტანა  
კოლუმბმა.

რომაელები პირიქით, ხახვს  
დღიდგვაროვანთა საკვებად  
მიიჩნევდნენ. იმპერატორი  
ნერონი მას დიდი რაოდენობით  
მიირთმევდა ხმის შესანახად,  
რადგან უყვარდა გრძელი  
მიმართვების წარმოთქმა.  
რომაელი ლეგიონერები ასევე  
ძლომად მიირთმევდნენ ხახვს,  
რადგან სჯეროდათ, რომ ის  
აძლევდა მათ ძალას და ასევე  
მეომარს სიმამაცეს მატებდა.

ჯვაროსნული ლაშქრობების  
დროს, ხახვის სახელი  
ისეთი დიდი იყო, რომ ის  
აუცილებლად შედიოდა  
კეთილშობილი რაინდების  
რაციონში. 1250 წელს  
ფრანგები სარაცინებისგან  
გამოისყიდიდნენ  
თავის ტკიცებს, და  
ამისათვის  
ჩვენი  
დროისათვის  
უჩვეულო  
გამოსასყიდს  
იხდიდნენ:  
რვა ხახვს  
ერთ კაცში!





კროსვორდი

# ჯავალი

გაშიფრე  
კროსვორდი  
და გაიგებ  
რამდენი  
მოწაფე ჰყავდა  
იქსოს

შეადგინა ი. გ.  
11 წლის



იუ თუ როა...

რომ მუ მზელი, მას შემდგე რაც  
დაყრის ლეპევს, რჩება ბუნაშვი,  
ხოლო ხვალი მგელი მიღის სანადიროდ  
და მიავე დროს იცეს ოჯახის  
უსაყრთხოებას. ხოლო როცა ლემპიძი  
წამოიზრდებან, მთლიანად  
საკუთარ თავჭე იღებს  
შთამომავლობის  
აღზრდას და ოჯახის  
ერთაბობას  
შენარჩუნებას?



1. ისრაელის მეფე  
საულის შემდეგ  
(2 მეფ. 5:1-4)
2. პირველი ვენახის  
გამშენებელი  
(დაბ. 9:20)
3. მოსეს ძმა  
(გამოს. 4:14)
4. პირველი ადამიანი  
დედამიწაზე  
(1 კორ. 15:45)
5. ადამის მეორე ვაჟი  
( დაბ. 4:1-2)
6. ერთ-ერთი მდინარე  
ედემის ბაღში  
(დაბ. 2:14)
7. "და პქონდა მთელ  
ქვეყანას ერთი ენა და  
ერთი ... (დაბ. 11:1)

ნახატი ე. ნ.

## გამოისანი!




რომელი ბიბლიური ისტორიაა აქ  
გამოსახული? შენც სცადე მისი დახატვა,  
შეგიძლია ფანქარი არ აიღო ქაღალდიდან.

# პეპელა ეგზიტზე

შეადგინა ვ. ნ.

1. აუცილებელი  
მასალა: ფერადი  
ქაღალდი (სამი  
განსხვავებული ფერი),  
მძფის მარცვლები, მაგნიტი,  
წებო, მაკრატელი, ფანქარი.



2. გადაიღე პეპელის შაბლონი  
და ამოჭური




5. მაკნიტანი პეპელას  
საპირისპირო მხარეზე წაუსვი  
წებო და მიაწებე იქ მეორე  
პეპელა.

3. ფერად ქაღალდზე დახატე  
პეპელას კონტურები და  
ფრთხილად ამოჭური



4. ერთ-ერთ პეპელას მიაწებე  
მაგნიტი, ორი სხვა პეპელა  
მოღუნე, როგორც არის  
ნაჩვენები.



6. ზემოთა პეპელაზე შეიძლება  
(სურვილის მიხედვით) დახატოთ  
წერტილები ფლორმასტერით მიაწებე  
ისიც ისე, როგორც წინა პეპელა

7. მიაწებე პეპელაზე მძფის  
მარცვლები და შემდგე  
ამ პეპელათი გააღამაზე  
მაციარი.



გამა, 10 წლის, უკრაინა




6. 3. 11 წლის, უკრაინა



ড. স. 15 ব্লোক, গুরুগাঁও



3. 3. 5 ଫଳୋକ,



კაცები ზის კალიბებით 1, 2, 3, 4, 5  
 შაღუფი 6  
 კაცები ჩაღლის კონებით 7, 8, 9  
 ზედამზედვლები 10, 11  
 იხვები 12, 13, 14, 15  
 კაცები, რომელებიც ლერწმის ფოთლებს  
 აგროვებენ 16  
 ქალი წნავს კალათას 17

ბიჭი იჭვრს ბატყანს 18  
 მცველები, რომლებიც გზას წმენდენ  
 19, 20, 21, 22  
 მოცეკვავე გოგონები 23, 24, 25, 26  
 გაქცეული ლომები 27, 28, 29  
 ბალაზების შემგროვებელი გოგონები  
 30, 31, 32.  
 ბაყაფები 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41

მწერლები 42, 43  
 კატები 44, 45, 46, 47, 48  
 ორჩხომელა, რომელშიც პრინცესა ზის  
 49  
 ძროხები 50,51,52,53,54,55,56,57,58  
 მარცვლეულის შესანახი საცავები 59, 60,  
 61, 62  
 ბაყშვები ჰამენ საზამთროს 63, 64



მისამართი  
აღმოსავლეთში



ო. ნ. 7 წლის, რუსეთი



გ. ჟ. 8 წლის, ესტონეთი

საბავშვო ქრისტიანული ჟურნალი  
გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:

### ვალდემარ ბახეცელი

რედაქციის მისამართი გერმანიაში:  
LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340,  
70809-Kotmal, GERMANY.

ტელ: 49 711 839908-23;

ფაქსი: 49 711 839908-4.

E-mail: [ezom@lio.org](mailto:ezom@lio.org)

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების  
ბავშვებისათვის

ქართული გამოცემის რედაქტორი:

ლუხუმ მაისურაძე

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8

ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: [lukhummaisuradze@yahoo.com](mailto:lukhummaisuradze@yahoo.com)

Facebook page: საბავშვო ჟურნალი „ბილიკი“

დაბეჭდილია სტამბა „სეზანი“

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

გვ. 9 დამიღრული მუხლი: არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ (ებ. 13:5)

გვ. 24 პროსპორტი: 1. დავითი 2. ნოე. 3. აარონი. 4. ადამი. 5. აბელი. 6. ვეფრატი. 7. სიტყვა.

გამოიცანი: ისტორია იონას შესახებ.



ISSN1987-720X



98771987 720007